თელასი

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

Номер: 0416/340/21

Дата: 16/04/2021

შპს ,,თბილსანტექმონტაჟ"

მის. ბაქრაძის ქ#6

13.04.2021 #0413/674/21 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მითითებულ მისამართზე (ს.კ.01.13.03.010.054) მიწის ნაკვეთს კვეთს სს ,,თელასის" კუთვნილი 110კვ-ის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი ,,მხევძმარა 1-2", საჰაერო ელ.გადამცემი ხაზის მიმდებარედ დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

1.ნაკრძალებში, დასახლებათა გამწვანების ზონაში, პარკებში, საავტომობილო გზისა და რკინიგზის გასწვრივ ქარსაცავ ზოლში-ჰორიზონტალური მანძილით საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მაქსიმალურად გადახრილი განაპირა სადენებიდან ხეების ვარჯამდე, რომელიც უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრისა (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილება., მუხლი 3, პუნქტი ა.გ ქვეპუნქტი ა.გ.გ.).

2.მანძილი სეგხ–ის განაპირა სადენებიდან ორივე მხარეს მაქსიმალური გადახრის შემთხვევაში საცხოვრებელი ან საზოგადოებრივი შენობის უკიდურესად გამოშვერილ ნაწილამდე არ უნდა იყოს 4 მეტრზე ნაკლები. მშენებლობის დროს გათვალისწინებული იქნას მათი აშენება უწვადი მასალების გამოყენებით (ელ.დანადგართა მოწყობის წესების ПУЭ პ. 2.5.115).

3.აკრძალულია გხ გატარება შენობებზე და ნაგებობებზე, გარდა უწვადი მასალებისაგან დამზადებული სამრეწველო საწარმოების შენობა ნაგებობებისა. მინიმალური მანძილი ვერტიკალში გხ-ის სადენის მაქსიმალური ჩაღუნვის ისრიდან შენობამდე და ნაგებობამდე უნდა იყოს არანაკლებ 4 მეტრი (ПУЕ პ. 2.5.114).

4.აკრძალულია ელექტრული ქსელების ხაზობრივ ნაგებობებთან 110კვ–ის ანძასთან მისასვლელი გზების ლიკვიდაცია ან ჩახერგვა, თუ არ არსებობს ალტერნატიული მისასვლელი (მისასვლელი გზა უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი სიგანის) (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილება.მუხლი 4, პუნქტი ე).

5.სეგხ–ის დაზიანების ან უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, ხაზის დაცვის ზონაში (20 მეტრი განაპირა სადენიდან ორივე მხარეს). ყველა სახის სამუშაო წერილობით შეთანხმებული უნდა იყოს სს ,,თელასის" შესაბამის სამსახურთან (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილება. მუხლი 3, პუნქტი ა.ა.გ. და მუხლი 4 პუნქტი 2).

ასევე მიწის ნაკვეთის (ს.კ.01.13.03.010.054) მიმდებარედ გადის სს ,,თელასის" კუთვნილი საკაბელო ელ.გადამცემი ხაზები.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბერის #366 დადგენილებაის „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ (მუხლი 3, პუნქტი ბ) თანახმად საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზებისათვის დაცული უნდა იყოს შემდეგი ნორმები :

ბ.ა) მიწისქვეშა საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს განაპირა კაბელებიდან დაშორებულია შემდეგი მანძილით:

ბ.ა.ა) 1 კვ-ის ზევით - 1 მეტრი ორივე მხრიდან;

ბ.ა.ბ) 1 კვ-მდე - 1 მეტრი ორივე მხრიდან; თუ საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი გადის დასახლებათა ტროტუარების ქვეშ, მაშინ - 0,6 მეტრი შენობა-ნაგებობის მხარეს და 1 მეტრი ქუჩის სავალი ნაწილის მხარეს;

სს „თელასი" არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა, თუ დაცული იქნება ზემოთ აღნიშნული ნორმები.

სს „თელასის“ გენერალური
დირექტორის მ.შ. ა. ბალჩუგოვი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყოფილების უფროსი მ. ჩიღუნაძე
ტელ. 2 77 99 99 1(7959)

სილქნეტი
SILKNET

№ 1216/24-8 "22" 03 2021

შპს საამშენებლო სამრეწველო სამონტაჟო ფირმა
„თბილსანტექმონტაჟის" კომერციულ დირექტორს
ბატონ ზურაბ მაცაბერიძეს
მის: ქ. თბილისი, ბაქრაძის ქუჩა, #6
ტელ: (+995) 599 56 52 65

ბატონო ზურაბ,

თქვენი ა. წ. 18 მარტის #8/1671 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მითითებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩა, #53-ში(ს/კ 01.13.03.010.054) სს „სილქნეტის" კომუნიკაციები არ ფიქსირდება.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ნაკვეთში სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას აღმოჩნდება სს „სილქნეტის" კუთვნილი ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, განმცხადებელი (სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

- დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;
- აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს "სილქნეტის" წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული მართვის სამსახურის ნომრებზე: (+995 32) 2950029 ან 2932740;
- წარმოადგინოს სამუშაოების ამსახველი პროექტი სს „სილქნეტში" შეთანხმების მისაღებად.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი
ასტამურ აჩბა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
შპს თბილსერვის ჯგუფი
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
TBILSERVICE GROUP LTD

წერილის ნომერი: **62-01191863520**
თარიღი: **05/07/2019**
პინი: **7538**

ადრესატი: ზურაბ მაცაბერიძე
პირადი ნომერი: 01005009401
მისამართი: თბილისი გორის ქ. N 21

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

შ.პ.ს "თბილსერვის ჯგუფში" შემოსული თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში რიცხულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდია: (01.13.03.010.054) გარე განათების ხაზობრივი ნაგებობა კოდით (01.00.201) არ ფიქსირდება. აქედან გამომდინარე შ.პ.ს. "თბილსერვის ჯგუფი" წინააღმდეგი არ არის აწარმოოთ პროექტით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები.

ვეფხვია ბაძაღუა

შპს "თბილსერვის ჯგუფი"-მოადგილე - გარე განათების დარგში

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

gwp
მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 0619-0290526 D 21. 08. 2019

ბატონ ზურაბ მაცაბერიძეს
მისამართი: ბაქრაძის ქ. N6
ტელეფონი: 599 56 52 65

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრაციის #IN19-0287053; თარიღი 24/07/2019წ). რომლითაც მოთხოვნილი იყო ბელიაშვილის ქ. N53-ში ს/კ 01.13.03.010.054 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან, იმ პირობით, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელების მიმართ დაცული იქნება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით დადგენილი მოთხოვნები.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ ,,კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ ,,კომპანიის“ წარმომადგენელს:

დიდუბე-ჩუღურეთის ბიზნეს ცენტრის მენეჯერი იაკობ თოდუა. ტელ: 551 11 44 77.

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: გ. მურღულია; ჯ. ჩაჩხალია
ტელეფონი: 293 11 11 (21-02); (11-27)

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

Номер: 0805/219/19
Дата: 05/08/2019

შპს „არქ არეა"
ქ-ბ ნინო ცხადაიას
მის. ზაქარიაძის ქ#8

26.07.2019 წლის #0726/458/19 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი (გენ.გეგმა ს.კ.01.13.03.010.054) დღევანდელი მდგომარეობით შეესაბამება ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესებსა და ზონებს (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366 დადგენილება, დანართი ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები).

სს „თელასის" გენერალური
დირექტორის მ.შ. ა. ბალჩუგოვი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების
განყ. უფროსი მ. ჩიღუნაძე
ტელ. 2 77 99 99 1(7959)

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

წომერი: 0624/116/19

თარიღი: 24/06/2019

რწმუნებულება

სააქციო საზოგადოება „თელასის“ (ს/კ 202052580) გენერალური დირექტორი სერგეი კობცევი (პასპორტი #75 6925332), წინამდებარე რწმუნებულებით უფლებას ვანიჭებ საზოგადოების ფინანსურ დირექტორს ალექსეი ბალჩუგოვს (პირადი #01391002884), რათა მან ხელი მოაწეროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში (მერიაში) და მის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და საქალაქო სამსახურებში სს „თელასის“ სახელით წარსადგენ დოკუმენტაციას (კორესპონდენციას), ასევე წებისმიერ მესამე პირზე გასაცემ კორესპონდენციას, რომელიც მომავალში შესაძლოა წარდგენილ იქნას ზემოაღნიშნულ სტრუქტურებში.

რწმუნებულება გაცემულია 1 (ერთი) წლის ვადით.

სს „თელასის“ გენერალური დირექტორი
სერგეი კობცევი

Доверенность

Я, Сергей Кобцев (паспорт 75 6925332), Генеральный директор Акционерного общества «Теласи» (ИНН 202052580), настоящей доверенностью, наделяю правом Финансового директора Общества Алексея Бальчугова (личный №01391002884) подписывать документацию (корреспонденцию), представляемую от имени АО «Теласи» в Муниципалитет (Мэрию) г. Тбилиси, его юридическим лицам публичного права и в городские службы, а также корреспонденцию, выдаваемую любому третьему лицу, которая в дальнейшем может быть представлена в вышеуказанные структуры.

Доверенность выдана сроком на 1 (один) год.

Генеральный директор АО «Теласи»
Сергей Кобцев

06.08.19